გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება №112

2025 წლის 12 სექტემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის ქონების შპს „მაგთიკომისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2025 წლის 13 აგვისტოს შემოსულია შპს „მაგთიკომის“ (ს/ნ 204876606) წერილი, რომელშიც იჯარის ფორმით, 4 წლის ვადით, მოთხოვნილია, ქ. გორში, მოსკოვის ქუჩა N1 მდებარე ს/კ 66.45.27.015 შენობა-ნაგებობიდან 20 კვ.მ ფართი (საკვამური მილის გარე ზედაპირი) და ქ. გორში, მოსკოვის ქუჩა, N1 მდებარე ს/კ 66.45.27.283 მიწის ნაკვეთიდან 15.00 კვ.მ ფართი, ოპტიკურ-ბოჭკოვანი სადენის განსათავსებლად.

აუდიტური კომპანიის მიერ 2025 წლის 8 აგვისტოს N149-ქ, ქ. გორში, მოსკოვის ქუჩა N1 - ში მდებარე, 66.45.27.015 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (დაზუსტებული ფართობი - 25,00 კვ.მ) განთავსებული შენობა N1 - დან (საკვამური, განაშენიანების ფართი 24,61 კვ.მ) – 20,00 კვ.მ ფართის (საკვამურის გარე ზედაპირი) საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასებით, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 65000,00 (სამოცდახუთი ათასი) ლარით;

აუდიტური კომპანიის მიერ 2025 წლის 8 აგვისტოს N132-ქ, ქ. გორში, მოსკოვის ქუჩა N1 - ში მდებარე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ს/კ 66.45.27.283 მიწის ნაკვეთიდან (დაზუსტებული ფართობი - 212337,00 კვ.მ) -15 კვ.მ - ს საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასებით, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 4800,00 (ოთხიათას რვაასი) ლარით;

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული გარე განათების ბოძების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება და მათი დროებითი სარგებლობის უფლებით გაცემა ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოაღნიშნული ქონების, სს „სილქნეტისთვის“ (ს/ნ 204566978) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემა, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად, საჭიროა განისაზღვროს ჯერ ქონების საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ წლიური საიჯარო ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ და „დ.დ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, ქ. გორში , მოსკოვის ქუჩა N1 მდებარე ს/კ 66.45.27.015 შენობა-ნაგებობიდან 20 კვ.მ ფართი (საკვამური მილის გარე ზედაპირი) და ქ. გორში, მოსკოვის ქუჩა, N1 მდებარე ს/კ 66.45.27.283 მიწის ნაკვეთიდან 15.00 კვ.მ ფართი პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ხელშეკრულებით გადასცეს შპს „მაგთიკომს“ (ს/ნ 204876606), ოპტიკურ-ბოჭკოვანი სადენის განსათავსებლად.

2. ა) ქ. გორში, მოსკოვის ქუჩა N1 - ში მდებარე, 66.45.27.015 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა N1 - დან (საკვამური, განაშენიანების ფართი 24,61 კვ.მ) – 20,00 კვ.მ ფართის (საკვამურის გარე ზედაპირი) საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასებით, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 65000,00 (სამოცდახუთი ათასი) ლარით; ბ) ქ. გორში, მოსკოვის ქუჩა N1 - ში მდებარე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ს/კ 66.45.27.283 მიწის ნაკვეთიდან (დაზუსტებული ფართობი - 212337,00 კვ.მ) -15 კვ.მ - ს საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასებით, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 4800,00 (ოთხიათას რვაასი) ლარით;

3. წლიური საიჯარო ქირა ს/კ 66.45.27.015 შენობა-ნაგებობიდან 20 კვ.მ ფართზე (საკვამური მილის გარე ზედაპირი) და ს/კ 66.45.27.283 მიწის ნაკვეთიდან 15.00 კვ.მ ფართზე განისაზღვროს 7200 (შვიდიათას ორასი) ლარის ოდენობით.

4. იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 4 (ოთხი) წლის ვადით.

5. მოიჯარეს ზემოაღნიშნული ს/კ 66.45.27.015 შენობა-ნაგებობიდან 20 კვ.მ ფართი (საკვამური მილის გარე ზედაპირი) და ს/კ 66.45.27.283 მიწის ნაკვეთიდან 15.00 კვ.მ ფართი გადაეცემა ოპტიკურ-ბოჭკოვანი სადენის განსათავსებლად.

6. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც ორი კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს). იჯარის ფორმით გადაცემული ქონება გამოთავისუფლებულ იქნას ,,მოიჯარის'' მიერ საკუთარი ხარჯებით.

7. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

8. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე